საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

2023/2024 სასწავლო წელი

01.12.2023
www.geostat.ge

01.12.2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

(2023/2024 სასწავლო წელი)

2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 2 296 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა) იყო, მათ შორის 2 086 საჯარო, ხოლო 210 კერძო. წინა სასწავლო წელთან შედარებით, ქვეყანაში არსებული სკოლების რაოდენობა 6 ერთეულით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სკოლა (17.1%) იმერეთში ფიქსირდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 2019/2020-2023/2024 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

(ერთეული)



01.12.2023

2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 634.3 ათასი მოსწავლე სწავლობდა, რაც წინა სასწავლო წლის მაჩვენებელს 0.2 პროცენტით აღემატება. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობის 89.5 პროცენტი სწავლობს, ხოლო კერძო სკოლებში - 10.5 პროცენტი. მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობიდან 48.2 პროცენტი გოგოა, ხოლო 51.8 პროცენტი - ბიჭი.

რეგიონებს შორის, ყველაზე მეტი მოსწავლე (35.5%) თბილისში სწავლობს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2019/2020-2023/2024 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №2

მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში
(ათასი)



01.12.2023

2023/2024 სასწავლო წელს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნებს (აღნიშნული საგნები სავალდებულოდ ისწავლება I, V და VI კლასებში) 166.9 ათასი მოსწავლე სწავლობს, რაც წინა სასწავლო წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.1 პროცენტით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც სწავლობენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს 2023/2024 სასწავლო წელს.

დიაგრამა №3

მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც სწავლობენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს

(2023/2024 სასწ.წ., ათასი)



01.12.2023

2023 წელს საშუალო სკოლა დაასრულა 47 291 მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 4.1 პროცენტით აღემატება. დაწყებითი განათლება მიიღო 56.6 ათასმა მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6.0 პროცენტით ნაკლებია, ხოლო საბაზო განათლება - 46.8 ათასმა მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3.9 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ მოსწავლეთა რიცხოვნობა, რომელთაც მიიღეს დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლება, 2019-2023 წ.წ.

დიაგრამა №4

დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები

(ათასი)



01.12.2023

2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 63.7 ათასი მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2.2 პროცენტით მეტია. მასწავლებელთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ, კერძოდ, პედაგოგების რიცხოვნობაში ქალების წილი 87.5 პროცენტი, ხოლო კაცების წილი 12.5 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მასწავლებლების რიცხოვნობა 2019/2020-2023/2024 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №5

მასწავლებლების რიცხოვნობა საჯარო და კერძო სკოლებში

(ათასი)



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ: 2 36 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge